



მემორანდუმი

ქ. ზუგდიდი

03.06.2015.

ერთის მხრივ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი წარმოდგენილი რექტორის თეონა ხუფენიას სახით, (შემდგომში „უნივერსიტეტი“) და მეორეს მხრივ, „საქართველოს სახელმწიფო მოდერნიზაციის ინსტიტუტი“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) წარმოდგენილი მისი კოლეგიის წევრების გიორგი კობერიძის, გიორგი თუთბერიძისა და გიორგი ლემონჯავს სახით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

1. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიზანი არის მხარეთა თანამშრომლობა, რათა ჩამოყალიბდეს მათ შორის შეთანხმების მთავარი საფუძვლები და დეტალურად დადგინდეს მხარეებს შორის საქმიანი კავშირის ვადები და პირობები ურთიერთთანამშრომლობას.
2. მემორანდუმის მიზნების განხორციელებისათვის, დამატებით შესაძლებელია შედგეს შეთანხმებები, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ცალკეული აქტივობები.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

- 2.1 წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებისათვის, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს:
 - 2.1.1 სხვადასხვა მასშტაბების ღონისძიებებისთვის საკონფერენციო დარბაზების, ოთახებისა და სხვა სახის ტექნიკური რესურსის (როგორცაა პროექტორები, საკანცელარიო ნივთები, მიკროფონები და ა.შ.) გამოყოფას;
- 2.2 წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების განხორციელებისათვის, ორგანიზაცია უზრუნველყოფს:
 - 2.2.1 თანამშრომლობას უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;
 - 2.2.2 ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მუდმივად ხელმისაწვდომობას;
 - 2.2.3 საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტისა და ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი ერთობლივი

პროექტების განხორციელებას.

2.2.4 ყველა საკუთარ პროექტში, გარდა ცალკეული პროექტებისა (რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფილია პარტნიორების მიერ და მათი სურვილია პროექტს არ გააჩნდეს დამატებით სხვა პარტნიორი), უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართულობა.

2.3 მხარეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას და შეასრულებენ ურთიერთსანაცვლო ვალდებულებებს.

2.4 მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულონ ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებული იქნება მემორანდუმის საგანთან, აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ წინამდებარე მემორანდუმის შეუსრულებლობით ან არასათანადო შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

3. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

3.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 1 წლის ვადით ორმხრივი ზეპირი შეთანხმების შემთხვევაში ავტომატური გაგრძელების პირობით.

3.2. მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლებია:

3.2.1. მემორანდუმის მოქმედების ვადის გასვლა;

3.2.2. მემორანდუმის პირობების უხეში დარღვევა რომელიმე მხარის მხრიდან;

3.2.3. მხარის ინიციატივა - მხარეებს 3 (სამი) თვით ადრე წინასწარი დასაბუთებული წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე შეუძლიათ ცალმხრივად შეწყვიტონ მემორანდუმი.

3.2.4. მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

3.2.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.

4. ფორს-მაჟორი

4.1 მხარეები მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან მემორანდუმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის, ე.წ. „ფორს-მაჟორული“ გარემოებების მოქმედებით, კერძოდ საომარი—სამხედრო მოქმედებებით, გაფიცვით, სტიქიური უბედურებით (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი), ბლოკადით, კანონიერ ძალაში შესული სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრაციული აქტებით ან ქმედებებით და სხვა.

4.2. მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა გააფრთხილონ ერთმანეთი „ფორს-მაჟორული“ გარემოებების დადგომისა და მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

4.3. მხარეების მიერ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების შეწყვეტამდე.

5. კონფიდენციალურობის პირობები

მხარეთა მიერ ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ დაიშვება წინამდებარე მემორანდუმის პირობების გაცნობა მესამე პირთათვის, მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. აგრეთვე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ მემორანდუმის შესრულებისათვის გამიზნული კორესპონდენციისა და სხვა საქმიანი დოკუმენტაციის მესამე პირთა ხელყოფისაგან დაცვა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

6. დასკვნითი დებულებები

- 6.1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის ხელმოწერით და ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- 6.2. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მემორანდუმით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ან ბათილად ცნობის შემთხვევაში, მემორანდუმის დანარჩენი პუნქტები ძალაში რჩება.
- 6.3. მემორანდუმი შედგენილია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

7. მხარეთა რეკვიზიტები

„უნივერსიტეტი“
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

„ორგანიზაცია“
საქართველოს სახელმწიფო
მოდერნიზაციის ინსტიტუტი

რექტორი - თეონა ხუფენია

კოლეგიის წევრები:
გიორგი კობერიძე
გიორგი თუთბერიძე
გიორგი ლემონჯავა

თ. ხუფენია

გ. კობერიძე
გ. თუთბერიძე
გ. ლემონჯავა